# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (10.164)

29 მარტი—5 აპრილი, 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ცვლილებები სამხედრო გაწვევის წესში

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.***

შეხვედრის მონაწილეებს კახეთის რეგიონალური ცენტრის უფროსმა, ვიცე პოლკოვნიკმა **შალვა მელვინიშვილმა**, კახეთის რეგიონალური ცენტრის სერჟანტმა **პავლე ჩიტაშვილმა** და სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განყოფილების ხელმძღვანელმა კაპიტანმა **ანა კიკილაშვილმა** საქართველოს თავდაცვის კოდექსით განსაზღვრული ცვლილებები გააცნეს. აღნიშნული ცვლილებები 2025 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა და წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს შეეხება.

კანონმდებლობის მიხედვით, 2025 წლიდან წვევამდელთა შერჩევა ყოველწლიური შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განხორციელდება, ხოლო სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის პირობები:

*** საბრძოლო ქვედანაყოფი - 6 თვე, ანაზღაურება 765 ლარი;**

*** საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფი - 8 თვე, ანაზღაურება 635 ლარი;**



*** უმცროსი სამეთაურო თანამდებობა და წინასწარ განსაზღვრული სპეციალობით სამსახური - 11 თვე, ანაზღაურება სერჟანტებისთვის 1275 ლარი, ოფიცრებისთვის 1530 ლარი.**

*** 11-თვიანი სამსახურის დასრულების შემდეგ, აღნიშნული პირები ჩაირიცხებიან რეზერვში.**

# დედოფლისწყარო ევროპულ ქარტიას შეუერთდა

***საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ადვოკატირებით „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ ევროპულ ქარტიას კიდევ 4 მუნიციპალიტეტი შეუერთდა – დედოფლისწყარო, დუშეთი, დმანისი და ხაშური.***

ქარტია, რომელიც ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (**CEMR**) მიერ, 2006 წლის მაისში შეიქმნა, მუნიციპალიტეტებში ქალთა და კაცთა თანასწორობის გასაუმჯობესებლად, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტების მიერ ღონისძიებების გატარებას ისახავს მიზნად.

ქარტიაზე მიერთებით თითოეული ხელმომწერი მხარე კისრულობს ვალდებულებას შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ის პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველსაყოფადაა საჭირო.




საქართველოში აღნიშნული ქარტიის ხელმომწერი სულ 30 თვითმმართველი ერთეულია, თუმცა დოკუმენტთან მიერთების მზადყოფნა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებმაც გამოთქვეს.

ქარტიის ადვოკატირება პროექტის - „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება, რომელსაც ა.თ.ე.ა გაეროს ქალთა ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს.

# ელექტროავტომობილების ხელშეწყობა გრძელდება

***რამდენიმე თვის წინ დედოფლისწყაროში ადმინისტრაციული შენობის წინ ელექტრო ავტომობილების დამმუხტველი სადგური ამოქმედდა, უახლოეს პერიოდში კი ქალაქ დედოფლისწყაროში შესაბამისი საინფორმაციო ბანერები განთავსდება.***

შესაბამის დოკუმენტაციას ხელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ ხელმძღვანელმა გიორგი აბულაშვილმა 26 მარტს მოაწერეს.



მუდმივი დენის 40 კვტ-იანი, ელექტრომობილების სწრაფი დამმუხტველი სადგური დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და თანადაფინანსებით დამონტაჟებულია „ენერგო ეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ხელშეწყობით.

პროექტი განხორციელდა „მზის ენერგია და მდგრადი ურბანული სივრცეები საქართველოს მერების შეთანხმების მუნიციპალიტეტებში“ პროექტის ფარგლებში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი მიიჩნევს, რომ გაუდაბნოებისადმი მიდრეკილ დედოფლისწყაროში კლიმატის ცვლილების შესარბილებლად ელექტროავტომობილების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, ამდენად, მერია ცდილობს ქალაქში გარემო ადაპტირებული იყოს და სატუმბი სადგურების ხელმისაწვდომობა გაიზარდოს.




# მერმა უშუს დარბაზი მოინახულა



***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან და დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელთან, დოდო ხუნაშვილთან ერთად ქ. დედოფლისწყაროში უშუ სანდას დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და ახალგაზრდა სპორტსმენებს შეხვდა.***

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგაც დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში მოუწევთ ვარჯიში.

დედოფლისწყაროს უშუს ნაკრებმა 2011 წლიდან დღემდე როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო ჩემპიონატებზე არაერთ წარმატებას მიაღწია. მათ შორისაა გასულ წელს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამართული უშუს თასის მერვე გათამაშება, სადაც დედოფლისწყაროელი სპორტსმენები გუნდური თასის მფლობელები გახდნენ.

ინფრასტრუქტურულ პროექტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ღირებულება 204 071 ლარია. უშუს გუნდი დაარსების დღიდან მიტოვებულ, ავარიულ შენობაში, კუსტარულად მოწყობილ სივრცეში ვარჯიშობდა.

## ახალგაზრდული ეკო-კლუბის ახალი ინიციატივა

***დედოფლისწყაროს N2 მეორე საჯარო სკოლაში უკვე შვიდი წელია რაც ეკო-კლუბი „შექმენი მომავალი“ ფუნქციონირებს. მისი ხელმძღვანელია ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნონა ტოკლიკიშვილი.***



ეკო-კლუბი მუდმივად ზრუნავს ბუნების დაცვაზე. მათ კაკლის ნაყოფი დააფესვიანეს და გამოყვანილი ნერგები, 27 მარტს, მერვე კლასის მოსწავლეებმა სკოლის ეზოში დარგეს.

„დარგე შენი სახელობის ხე“-ასეთი ინიციატივა აქვთ ეკო-კლუბელებს. N2 საჯარო სკოლის არაერთი კურსდამთავრებული მუდმივად აგზავნის ნერგს და მათი სახელობის ხეები უკვე არსებობს სკოლაში.

ბუნების დაცვაზე ზრუნვის კიდევ ერთი მაგალითია პლასტმასის ბოთლების შეგროვება, რომელსაც ეკო-კლუბელები ახორციელებენ. გამოუსადეგარ პლასტმასს, ბუნება რომ არ დაზიანდეს, ახარისხებენ და აბარებენ „ტენესა“ და ადგილობრივ კომპანია „ეკოსპარტანელში“, საიდანაც გამომუშავებული თანხით ხან წიგნებს, ხან კი კლუბისთვის საჭირო ინვენტარს ყიდულობენ. პლასტმასის ბოთლის სახურავებისგან კრეატიული, შემოქმედებითი უნარებისა და ნებისყოფის განვითარებას ეწევიან. ახლახან მათ სახურავებით საქართველოს რუკა ააწყვეს.



ისინი პერმანენტულად ახორციელებენ საქველმოქმედო აქციებს, რომლის ფარგლებშიც ხან უფასო ხილს სთავაზობენ ეკო-კლუბის წევრებს, ხან კი მეეზოვეებს უფასო ყავით უმასპინძლდებიან.

## ფერმერები აგროკრედიტის ცვლილებებს დადებითად აფასებენ

***„აგროქიზიყის“ დამფუძნებელი, ფერმერი ბექა გონაშვილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში ცვლილებებს დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ დაფინანსების ლიმიტების გაზრდა სხვა მიმართულებებშიც საჭიროა.***

საქმე ისაა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობის 4 მარტის განკარგულებით, „შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისათვის“ ქვეკომპონენტში „მერძეული, მეხორცული, კომბინირებული მიმართულებისა და სანაშენე ფერმის დაფინანსებისთვის“ ზედა ზღვარი ორმაგდება. თუ აქამდე ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობა მინიმუმ 20 000 ლარიდან, მაქსიმუმ 5 მლნ ლარამდე იყო, ახლა ზედა ზღვარი 10 მლნ ლარი იქნება.

„ეს ცვლილება კარგია, ლიმიტები ასაწევი იყო, უბრალოდ რატომ მხოლოდ აქ და არა სხვა მიმართულებებშიც? ვფიქრობ, ჯობია სხვა მიმართულებითაც ბიზნესის გამსხვილებას ხელი შეეწყოს. დღესდღეობით სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები საჭიროა, რომ უფრო და უფრო გაიზარდოს წარმოება, აქედან გამომდინარე, სწორი გადაწყვეტილებაა და სხვა მიმართულებებიც ფინანსირების ნაწილში ანალოგიურად გადასახედია“,- ამბობს ბექა გონაშვილი.

მისი შეფასებით, გამოწვევა, რომელიც სექტორში მწვავედ დგას და ინვესტიციებსაც აფერხებს, კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ბექა გონაშვილი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად მათ შორის შესაძლოა აგროკრედიტის პროექტში გაჩნდეს შესაბამისი დათქმები.

„ვფიქრობ [სესხზე] მოთხოვნა იქნება, უბრალოდ ჩემი აზრით, მთავარ პრობლემად მაინც რჩება გამოცდილი კადრების დეფიციტი და ამ საკითხის მოსაგვარებლად გარკვეული დათქმებიცაა საჭირო, რომ გაჩნდეს კადრები ჩვენს მიმართულებაში. აგროკრედიტის პროექტში ჩაიდოს კომპონენტი, როგორ შეიძლება ადამიანს სწავლის მოტივაცია გაუჩინო, რომ შემდეგ დასაქმდნენ. არის ასეთი დეტალები, რომლებიც დასახვეწია“,– აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

## შეხვედრა ჯანდაცვის ცენტრში

2025 წლის 27 მარტს ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში შედგა შეხვედრა დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღების მედდებთან.

შეხვედრის თემა იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი-ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ”-განხილვა.

ყურადღება გამახვილდა საბავშვო ბაღებში დეზინსექცია/დეზინფექცია/დერატიზაციის ჩატარების აუცილებლობაზე, როგორც ეპიდ-სიტუაციებისას, ასევე მიმდინარე სასწავლო პერიოდში და მათი განხორციელების ტექნიკასა და მეთოდებზე.

ყურადღება გამახვილდა ასევე ბავშვების პირადი ჰიგიენის დაცვაზე.

„მადლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ლალი ალადაშვილს და ცენტრის სანიტარულ ექიმს გივი პოპიაშვილს გაწეული დახმარებისთვის და თანადგომისთვის,“ - აღნიშნავენ სკოლამდელ სააღმზრდელო ცენტრში.



## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა



***27 მარტს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ პაპიაშვილი ხელმძღვანელობდა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო.***

სხდომის დღის წესრიგი

1. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.
2. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასახლებების მიხედვით (გარდა ადმინისტრაციული ცენტრისა) დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცებისა და ამ პროექტების მიხედვით თანხის განაწილების შესახებ.
4. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

## რეგიონული ტურნირის გამარჯვებულები



***ზემო ქედის 1საჯარო სკოლის მოსწავლეებმა 22 მარტს მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თელავში სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში - „რეგიონალური თამაშები კახეთში“.***

მაგიდის ჩოგბურთში გოგონებმა დაიკავეს პირველი ადგილი. გამარჯვებულები არიან: ლელა ღუდუშაური, თათია ბუნტური, ლიზი წიკლაური, ნელი ბერიანიძე, გვანცა ჩოხელი. ისინი დაჯილდოვდნენ თასით და დიპლომებით. ამავე ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ბიჭებმა და დაიკავეს მეორე ადგილი. გიორგი ქავთარაძე, კობა აფციაური, ბაჩი ბუჩუკური, ლუკა ჩოხელი დაჯილდოვდნენ დიპლომებით. სკოლის სპორტის მასწავლებელი დავით სეთური გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ „მესამე წელია, მისი აღსაზრდელები წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა სპორტულ ოლიმპიადაზე. ამჯერად ახალგაზრდა სპორტსმენმა გოგონებმა მაგიდის ჩოგბურთში პირველობა არავის დაუთმეს და გამარჯვებულის ტიტული დამსახურებულად მოიპოვეს. კახეთის რეგიონის მასშტაბით მისი მოსწავლეები ლიდერის პოზიციას არ თმობენ“.



გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ახალგაზრდა სპორტსმენებს გამარჯვებას და მომავალ წარმატებებს უსურვებს მათ.

## მაჩხაანელების წარმატება ერევანში

**12, 13 და 14 მარტს სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩატარდა შეჯიბრი პროფესიონალურ ორთაბრძოლებში.**

ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, რუსეთის, ირანის, ქუვეითის და ეგვიპტის ნაკრები გუნდები. მათ შორის საქართველოს ნაკრების სახელით სპორტულმა კლუბმა „ზაქებმა“ მიიღო მონაწილეობა.



შეჯიბრში ასპარეზობდა 4 სპორტსმენი. მათ საუკეთესო შედეგები აჩვენეს. ორმა სპორტსმენმა - გოჩა ჩუთლაშვილმა (69კგ. 2009) და ნიკა ჯაბაშვილმა (72 კგ 2009) მოიპოვეს ქამრები. მარი ჯაბაშვილმა და რატი დაუთაშვილმა დაიკავეს პირველი ადგილები და თასებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ სოფელში. გუნდს ამზადებს A კატეგორიის მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.

# 31 მარტის რეფერენდუმი და ზვიად გამსახურდია

***„31 მარტი... მოუთმენლად ელოდა ამ დღეს საქართველო, თავისუფლებისმოყვარე და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ყველა ადამიანი. ალბათ, ამიტომ იყო, დილიდანვე რომ მიაშურეს მოქალაქეებმა საარჩევნო უბნებს და კეთილსინდისიერად მოიხადეს მამულიშვილური ვალი“, - წერდა 1991 წლის 1 აპრილს გამოსული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. - „დილის 7 საათზე, როცა თბილისის საბურთალოს რაიონის საარჩევნო ოლქის 23-ე უბნის კომისიის წარმომადგენლები დანიშნულების ადგილას მივიდნენ, საარჩევნო უბნის კართან პირველი მოქალაქე უკვე ელოდათ: იგი აღმოჩნდა... 101 წლის ლიტველი კაცი. ეს მხცოვანი ადამიანი ჩქარობდა, სხვაზე ადრე მინდა გამოვხატო ჩემი ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულებაო. ასეც მოხდა: სწორედ იგი იყო ამ უბანზე პირველი, ვინც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა ხმა“.***

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“, - ვკითხულობთ საქართველოს კონსტიტუციის პირველ მუხლში.

1991 წლის 31 მარტს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით: „მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (დაახლოებით 90-მა პროცენტმა). აქედან 99%-მა კითხვას დადებითი პასუხი გასცა და მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუჭირა.

ზვიად გამსახურდიას ფიგურას ისტორია უარყოფითად ვერ შეაფასებს, მის პიროვნულ თვისებებს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. ისტორიისათვის მთავარია ფაქტი და მისი ზესახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. უფრო ზუსტად, პიროვნებას ისტორია მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე აფასებს.

31 მარტის რეფერენდუმით ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის იურიდიული საფუძველი შექმნა. შემთხვევითი არაა, რომ ამ რეფერენდუმის შედეგები 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციაშიცაა შეტანილი, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი იურიდიული დებულება.

გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ რეფერენდუმი ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე - როგორც აფხაზეთში, ასევე ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ და ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობამაც (ვინც მონაწილეობა მიიღო რეფერენდუმში) ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. შინაარსობრივად, 31 მარტის რეფერენდუმმა იურიდიულად დაადასტურა და განამტკიცა ქვეყნის ერთიანობაც. არ არსებობს არათუ უფრო ძლიერი, არამედ რაიმე სხვა იურიდიული არგუმენტი იმისა, რომ საქართველო ერთიანი და განუყოფელი ქვეყანა უნდა იყოს.

ეჭვგარეშეა, რომ ათწლეულების შემდეგაც საქართველოს სკოლებში ისტორიის გაკვეთილებზე ბავშვებს ასწავლიან, რომ საქართველო იყო ერთიანი ქვეყანა, რაც მოსახლეობამ 31 მარტის რეფერენდუმით დაადასტურა.

30 წლის წინ, რეფერენდუმის დღეს, თბილისში იმყოფებოდა აშშ-ის 37-ე პრეზიდენტი, 78 წლის რიჩარდ ნიქსონი, რომლის ნათქვამი სიტყვები გაიხსენა რეფერენდუმის შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, აკაკი ასათიანმა: **„ვიმედოვნებ, მოვესწრები იმ დღეს, როცა კიდევ ერთხელ ჩამოვალ საქართველოში, მაგრამ უკვე თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში“.**

თბილისის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ყოფნისას რიჩარდ ნიქსონს ისიც კი უთქვამს, უფლება რომ მქონდეს, სიამოვნებით მივცემდი ხმას საქართველოს დამოუკიდებლობასო. საქართველომ სულ რაღაც 9 დღეში აღიდგინა დამოუკიდებლობა, სწორედ იმ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, რომელმაც ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის 37-ე პრეზიდენტზე. ამასთან, ეს იყო უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ჩათვლით.

***

### როგორ ტარდება რეფერენდუმი და პლებისციტი?

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელი კაკი ზოიძე “ქართულ ოცნებას” მოუწოდებს, პროპორციული სისტემით არჩევნების 2020 წელსვე ჩაატარების თაობაზე აზრი ჰკითხონ ხალხს - რეფერენდუმის ან პლებისციტის გზით. მმართველმა გუნდმა განაცხადა, რომ დღეს პასუხი არ აქვს, თუმცა ამ იდეას განიხილავს.

### რეფერენდუმი

რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა ფარული კენჭისყრით, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად ტარდება. ეს შეიძლება იყოს საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხები და პრინციპები. რეფერენდუმი შეიძლება, ასევე, მოეწყოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღების თაობაზე.




**რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება:**

- **კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად;**
- **ამნისტიის ან შეწყალების გამო;**
- **საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ;**
- **ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას;**

საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტის, მთავრობის ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეფერენდუმი ინიშნება საქართველოს მთავრობის მოთხოვნით.

რეფერენდუმი იმართება არაუადრეს ორი თვისა და არაუგვიანეს ექვსი თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებაზე, რეფერენდუმის მოწყობამდე 40 დღით ადრე მასმედიის საშუალებებით აქვეყნებს იმ საოლქო სარეფერენდუმო კომისიების სიას, რომლებსაც დაევალათ შესაბამის ტერიტორიებზე უხელმძღვანელონ რეფერენდუმის მომზადებასა და გამართვას.

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხი მიღებულად ჩაითვლება, თუ მის დადებითად გადაწყვეტას ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული ძალა და საბოლოოა. რეფერენდუმის შედეგებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა. ხელისუფლება ვალდებულია რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე ერთ თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით. რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ფორმალურად რეფერენდუმი ვერ ჩატარდება.

### პლებისციტი

პლებისციტი არის ფარული კენჭისყრის გზით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად, რომლის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისთვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. პლებისციტი ტარდება იგივე პროცედურით, როგორც რეფერენდუმი. საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

პლებისციტი საქართველოში ჩატარდა 2008 წლის 5 იანვარს. პლებისციტზე გამოტანილი იყო ორი საკითხი, რომელთაგან ერთი პარლამენტის არჩევნების თარიღის შემოდგომიდან გაზაფხულზე გადმოტანას ეხებოდა, მეორე კი - ნატოში გაწევრების მხარდაჭერას.

# მეორე საჯარო სკოლამ კლიმატის კონკურსში გაიმარჯვა

***საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვედეთის და შვეიცარიის მთავრობების დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში გამოაცხადებული იყო კონკურსი სათემო, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლებისთვის. კონკურსში ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის პროექტმა გაიმარჯვა და 600 დოლარიანი ჯილდო მიიღო...***

პროექტი საქართველოში რამდენიმე წელია მიმდინარეობს და მოიცავს ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორიცაა წყალდიდობა, სეტყვა, ღვარცოფი, ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და მეწყერით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებისთვის საქართველოში. როგორც ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა „შირაქს“ განუცხადა, პროექტი თავად მოამზადა და გამარჯვებულთა შორისაც მოხვდა.

**ლალი იაკობიშვილ-ჩერქეზიშვილი** *(მეორე საჯარო სკოლის დირექტორი):* „ფორუმი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მონაწილეები იყვნენ პროექტში ჩართული მუნიციპალიტეტის მერები, უნივერსიტეტების ლექტორები, დარგის წარმომადგენლები-გეოლოგები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სკოლის დირექტორები, საალმზრდელო დაწესებულების მასწავლებლები, სტუდენტები, რომლებსაც პროექტის ფარგლებში მწვანე ჯილდო გადაეცათ. ორი გამარჯვებული გამოვლინდა თემიდან, ათი გამარჯვებული კი სკოლებიდან. მათ შორის თითო პირველი და მეორე ადგილი დაჯილდოვდა და რვა მესამე ადგილი. ამჯერად ჩვენმა პროექტმა მესამე ადგილი დაიკავა.

ჩვენი პროექტი ეხება დედოფლისწყაროსთვის დამახასიათებელ ბუნებრივ მოვლენას – გვალვასა და მისგან გამოწვეულ ზარალს, სასოფლო-სამეურნეო ნათესების განადგურებას, ხანძრებს, პროექტის ამოცანა ძირითადად საგანმანათლებლო ხასიათისაა, როგორ უნდა მოვიქცეთ ძლიერი სიცხის დროს, როგორ დავიცვათ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, როგორ დავიცვათ ჯანმრთელობა. ამ ცოდნის მისაღებად დაგეგმილია სკოლაში მინი პროექტების განხორციელება დაწყებით და საბაზო საფეხურზე.




ფორუმი იყო შინაარსობრივად ძალიან დატვირთული. აღმოჩნდა, რომ უამრავი საქმე გაკეთდა საქართველოში კატასტროფების მართვის კუთხით და კიდევ ბევრი საჭირო და აუცილებელი აქტივობა იგეგმება, რათა გაიზარდოს საქართველოს მოსახლეობის მედეგობა კლიმატური საფრთხეების მიმართ და დაცული იქნას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისაგან. ჩვენს მიერ ასევე დაგეგმილია ექსკურსია, დიდნაურში, ასეთი აქტივობა გვაქვს – „როგორ გაქრა დიდნაურში ცივილიზაცია“, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ამის მიზეზი გვალვა იყო. მოგებული თანხით ჩვენი სკოლისთვის უნდა შევიძინოთ სახანძრო - განგაშის სირენები, დავბეჭდოთ და გავავრცელოთ მოსწავლეების მიერ ამ პრობლემების შესახებ დახატული საინფორმაციო სააგიტაციო პოსტერები“.

როგორც სკოლის დირექტორი ჩვენთან საუბრისას განმარტავს, მეორე საჯარო სკოლაში კლიმატის ცვლილებებსა და გარემოს დაცვით საკითხებზე წლებია აქტიურად მუშაობენ. ნაყოფიერად მოქმედებს ეკოკლუბი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი წარმატებულია და ბოლო წლებში არაერთ პროექტში გაიმარჯვა.

*✍ ილია მარტყოფლიშვილი*

# უმრავლესობიდან დაიწყება ახალი ოპოზიციური სტრუქტურების შექმნა?!

***„მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ სამ ოპოზიციურ გაერთიანებას მოთხოვნა დაუკმაყოფილა და სადეპუტატო მანდატები გაუუქმა, „ოცნების“ დეპუტატებმა, ილია ინჯიამ, ვარლამ ლიპარტელიანმა და ნიკა ელისაშვილმა განაცხადეს, რომ საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებენ და პარლამენტში ოპოზიციის სტატუსით გააგრძელებენ მუშაობას.***

ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ „ოცნებას“ სხვა ჯგუფებიც გამოეყოს და ოპოზიციური გაერთიანება შეიქმნას. „მგონი ეს მოსალოდნელია, რადგან ოპოზიციის ბოიკოტის შედეგად ის პარლამენტში არ არის და ალბათ, თვითონ უმრავლესობიდან დაიწყება ასეთი ოპოზიციური სტრუქტურების შექმნა, ისევე, როგორც ადრე შეიქმნა „ხალხის ძალა“, რომელიც დღეს ოპოზიციურ ძალად გვევლინება“, - განაცხადა ანალიტიკოსმა რამაზ საყვარელიძემ“, - წერს გაზეთი „რეზონანსი“ სტატიაში, სათაურით „ოცნების“ დეპუტატები ოპოზიციაში გადადიან - „უმრავლესობიდან დაიწყება ახალი ოპოზიციური სტრუქტურების შექმნა“.

„როგორც ილია ინჯიამ ბრიფინგზე განაცხადა, ისინი ახალ ოპოზიციურ საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფს „ევროპული სოციალისტების“ ბაზაზე ჩამოაყალიბებენ. როგორც ინჯიამ თქვა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ არ დაუშვან „ნაციონალური მოძრაობის“ რევანში და ქვეყნის ბნელ წარსულში დაბრუნება. „მანდატები შეუწყდათ სამი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს. ვფიქრობ, ეს მოცემულობა ჰქმნის ახალ შესაძლებლობებს საქართველოში ჩამოყალიბდეს ახალი პოლიტიკური პარტია. როდესაც საპარლამენტო ოპოზიცია დაკავებულია არა პოლარიზაციის და სიძულვილის გაღვივებით, არამედ რეალურ საქმეზე ორიენტირებული კრიტიკით და ახალი ინიციატივების შემუშავებით, რომელიც ქვეყნის უფრო ეფექტურ მართვასა და სწრაფ განვითარებას ემსახურება. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება პარტია „ევროპული სოციალისტების“ ბაზაზე ოპოზიციური საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ. სრულად დავიცავით კოლეგიალობის პრინციპი და ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ ვაცნობეთ უმრავლესობის წარმომადგენლებს“, - განაცხადა ინჯიამ, რომლის თქმით, „დამოკიდებულება რადიკალური ოპოზიციის მიმართ დარჩება ისეთივე პრინციპული, როგორიც დღემდე იყო“, - აღნიშნავს გამოცემა.

„გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ არ დავუშვათ „ნაციონალური მოძრაობის“ რევანში და ქვეყნის ბნელ წარსულში დაბრუნება. ამასთან, ჩვენს მისიას ვხედავთ ჯანსაღი ოპოზიციის მისიის შესრულებაში, რომელიც ეფექტურ ზედამხედველობას განახორციელებს მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის საქმიანობაზე და წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივებს, შევა არგუმენტირებულ კამათში უმრავლესობის წარმომადგენლებთან, საქართველოს უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად. ჯანსაღი ოპოზიციის გარეშე ჯანსაღი დემოკრატიული სისტემა ვერასდროს ჩამოყალიბდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საქმიანობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბებაში“, - თქვა ილია ინჯიამ. შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი და ანალიტიკოსი ნიკა ჩიტაძე ვარაუდობს, რომ შესაძლოა უმრავლესობიდან კიდევ გადავიდნენ ოპოზიციაში, რადგან მისივე აზრით, ფორმალურად გაზარდონ ოპოზიციონერთა რიგები“, - განაგრძობს გამოცემა.

**„გამორიცხული არაა, რომ უმრავლესობიდან კიდევ სხვებიც გადავიდნენ ოპოზიციაში, რათა ფორმალურად გაიზარდოს ე.წ. ოპოზიციონერთა რიგები. საქართველოს დეფაქტო ხელისუფლება შეეცდება უფრო მეტი ლეგიტიმაცია მისცეს საკუთარ თავს და განაცხადოს, რომ შედარებით უფრო მეტი ოპოზიციონერია პარლამენტში, ვიდრე თავიდან, როცა მხოლოდ შვიდი იყო. ამ ყველაფრის ძირითადი მიზანი ეს არის, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს რეალური ოპოზიცია არ არის. მას ოპოზიციას ვერ დავარქმევთ. ეს არის იგივე „ქართული ოცნება“, რომელიც გაატარებს იგივე პოლიტიკას, რომელსაც ეს ე.წ. ხელისუფლება ატარებს, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას რაც უკავშირდება“,** - აცხადებს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას ნიკა ჩიტაძე.

# პუტინი ტრამპის ინიციატივამ განარისხა – „მინერალების ომის“ ახალი ფაზა

***„უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მზადაა განიხილოს ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინიციატივა, რომელიც შეიარაღების სანაცვლოდ უკრაინისგან მინერალებს ითხოვს. რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა კი ტრამპს მოუწოდა, რომ ვაშინგტონმა კიევს არანაირი დახმარება არ გაუწიოს და „მინერალებისგან ხელი აიღოს“.***

უკრაინის პრეზიდენტმა ამერიკულ ფირმებს უკრაინის იშვიათ ლითონებში ინვესტიციების ჩადებისკენ მოუწოდა, მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა თქვა, რომ სამხედრო დახმარებას უკრაინაში არსებული მინერალების სანაცვლოდ გასცემს, რომელიც უმნიშვნელოვანესია ამერიკის ტექნიკური, ენერგეტიკისა და თავდაცვის ინდუსტრიისთვის. ზელენსკიმ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ეს იდეა ჯერ კიდევ გასულ წელს რესპუბლიკელებს წარუდგინა“, - წერს გაზეთი „რეზონანსი“ სტატიაში, სათაურით პუტინი ტრამპის ინიციატივამ განარისხა - „მინერალების ომის“ ახალი ფაზა.

„მე ტრამპს, ჯერ კიდევ სექტემბერში ვუთხარი, რომ დიახ, ჩვენ ღია ვართ, რომ ამერიკული კომპანიების ინვესტიციები შემოდიოდეს“, - განაცხადა ზელენსკიმ და აღნიშნა, რომ სასარგებლო მინერალებზე რუსეთის კონტროლის შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ „იქ შევლენ“ ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა ირანი და ჩრდილოეთ კორეა. „ღია ვართ იმისთვის, რომ გეგმა შეიძლება შემუშავებულ იქნას ჩვენს პარტნიორებთან ერთად, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენი მიწის დაცვაში, მტერს უკუაგდებენ თავისი იარაღით, თავისი ყოფნით, სასანქციო პაკეტებით“, - განაცხადა ზელენსკიმ. ზელენსკიმ აღნიშნა, რომ უკვე მზადდება შეხვედრის დეტალები, რათა ამერიკელი ბიზნესპარტნიორები უკრაინაში ჩამოვიდნენ. ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა, რომ დავადგინოთ ამერიკელი პარტნიორების ჩამოსვლის თარიღები. ახლა ვთანხმდებით თარიღებსა და დეტალებზე, მოუთმენლად ველით მათ გუნდთან შეხვედრას. ჩვენ ერთობლივად ვიმუშავებთ“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. ორშაბათს კაბინეტიდან ჟურნალისტებთან საუბრისას ტრამპმა კიდევ ერთხელ გაიმეორა უკრაინაში მეტი სამხედრო დახმარების გაგზავნის იდეა იშვიათი მინერალების სანაცვლოდ“, - აღნიშნავს გამოცემა.

„ჩვენ ასობით მილიარდ დოლარს ვდებთ“, - თქვა ტრამპმა. „მათ აქვთ იშვიათი მინერალების მრავალფეროვანი არჩევანი და მსურს ვუზრუნველყო ჩემი ინვესტიციების უსაფრთხოებაც უკრაინაში, რა თქმა უნდა, თუ ისინი მზად არიან ამისთვის“. ტრამპის თქმით, ამერიკას სჭირდება კონკრეტული გარანტიები. ტრამპისა და ზელენსკის შეთანხმებას ნეგატიურად ეხმიანება რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი. აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივას „კომერციული წინადადება“ უწოდა და აღნიშნა, რომ ასე უკრაინა-რუსეთის ომს ვერ დაასრულებს. „ეს არის დახმარების ყიდვის შეთავაზება, ანუ არა უსასყიდლო ან სხვაგვარად მიწოდების გაგრძელება, არამედ კომერციულ საფუძველზე“, - განუცხადა კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებს მოსკოვში. „უმჯობესია, რა თქმა უნდა, საერთოდ არ გავუწიოთ დახმარება და ამით ხელი შევუწყოთ კონფლიქტის დასრულებას“, - განაცხადა პესკოვმა და აღნიშნა, რომ ტრამპის იდეების არსი უკრაინაში მოგვარების თაობაზე გაურკვეველია, მაგრამ აშკარაა, რომ აშშ-ის შეიარაღების მიწოდება კიევისთვის გაგრძელდება, რადგან არც ერთს სხვა რამ არ განუცხადებია“, - განაგრძობს გამოცემა.

„პესკოვმა დასძინა, რომ ევროპის თავდაცვის ხარჯების ზრდა რეგიონის ეკონომიკას „კრიზისამდელ მდგომარეობაში“ აყენებს და რომ დანახარჯების შემდგომი ზრდა „იმოქმედებს ყველა ევროპელზე“. პუტინის პრესსპიკერი ხაზგასმით ამბობს, რომ მოსკოვი მიიღებს საპასუხო ზომებს, ტრამპს კი მოუწოდებს შეუწყვიტოს უკრაინას ყველანაირი დახმარება. აღსანიშნავია, უკრაინის გეოლოგიის ინსტიტუტის სტატიის მიხედვით, იშვიათი მინერალები, როგორიცაა ცერიუმი, ლანთანი, ნეოდიმი, ერბიუმი, სამარიუმი, ლუტეციუმი და იტრიუმი, აღმოაჩინეს აზოვის საბადოში - რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე - თუმცა მარაგების რაოდენობა ჯერჯერობით გაურკვეველია. ექსპერტი ირაკლი მენაღარიშვილი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეიარაღებას უკრაინის ფრონტზე წარმატების მოტანა შეუძლია. საბადოებზე, რომლებიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარეობს, უკრაინამ უნდა დაიბრუნოს კონტროლი, რათა ტრამპის ინიციატივა განხორციელდეს“, - დასძენს გამოცემა.

„ამერიკას აქვს შეიარაღება, რომელიც უნდა გადასცეს უკრაინას, დანარჩენი, ვფიქრობ, უკრაინაზეა დამოკიდებული. ჩვენ ვიცით, რომ, როცა ამერიკა რეგულარულად აწოდებდა და აწოდებს დახმარებებს უკრაინას, ის წარმატებებს აღწევდა ფრონტზე და იმედია მომავალშიც მიაღწევს. რაც შეეხება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ საბადოებს, რასაკვირველია, უნდა დაბრუნდეს, თუმცა ეს უნდა დაიბრუნოს უკრაინამ, ჯერ მასზე კონტროლის მოპოვებაა საჭირო და სწორედ ამას სთავაზობს ტრამპიც რომ ეს საბადოები საერთო სარგებლობაში გამოიყენონ, თუმცა საბადოებზე კონტროლი, რასაკვირველია, ჯერ უკრაინამ უნდა მოიპოვოს“, - აცხადებს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას ირაკლი მენაღარიშვილი და შეკითხვაზე - „ომის გაგრძელების შემთხვევაში ტრამპმა შესაძლოა რუსეთსაც გაუზარდოს ტარიფები?“ - პასუხობს:

***„რაც შეეხება ტარიფების გაზრდას, ამერიკის ეკონომიკას ეს საფრთხეს არ შეუქმნის, თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება. ტრამპს იმედი აქვს, რომ გაუძლებს ამერიკის ეკონომიკა ამ პროცესს და არა მარტო გაუძლებს, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს აიძულებს, რომ დათმობაზე წავიდეს ამერიკის წინაშე, თუმცა ამერიკის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება“.***

# საქართველოში სომხეთის გავლით თურქმენული გაზის ტრანზიტი განიხილება

***საქართველოში სომხეთის გავლით თურქმენული გაზის ტრანზიტის შესაძლებლობა განიხილება. ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა, არტაშეს თუმანიანმა განაცხადა, რასაც „არმენპრესი“ ავრცელებს.***

მისი თქმით, თბილისმა ამ წინადადებას დადებითად უკვე უპასუხა. თუმანიანის შეფასებით, თუ პროექტი წარმატებით განხორციელდა, თურქმენული გაზი შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი გახდება

თურქმენული გაზის შესყიდვა თავად ერევანსაც სურს. ამ მიზნით აშხაბადთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს, რითიც სომხეთი ბუნებრივი გაზის მიწოდების დივერსიფიკაციას რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად გეგმავს.

კერძოდ, დაგეგმილია ხელშეკრულების გაფორმება სახელმწიფო კონცერნ „თურქმენგაზთან“ სომხეთისთვის გაზის SWOP-სქემით მიწოდების შესახებ, რაც ირანის ტერიტორიის გავლით უნდა მოხდეს. ამაზე ირანის მხრიდან თანხმობა ერევანმა უკვე მიიღო.

SWOP-სქემა სავაჭრო-ფინანსური გაცვლითი ოპერაციაა სხვადასხვა აქტივების გაცვლის სახით, რომელშიც ფასიანი ქაღალდების ან ვალუტის შესყიდვა/გაყიდვის გარიგებას საპირისპირო გარიგება ახლავს თან გარკვეული პერიოდის შემდეგ იმავე საქონლის უკუგაყიდვა/შესყიდვის შესახებ იმავე ან განსხვავებული პირობებით.

თუმანიანი განმარტავს, რომ ერევანი აშხაბადისგან 600 მილიონიდან 1 მლრდ კუბურ მეტრამდე გაზის შესყიდვას გეგმავს, თუმცა მხარეებმა ფასის საკითხზე კონსენსუსს ჯერ ვერ მიაღწიეს.

ამჟამად სომხეთის შიდა მოხმარებისთვის ბუნებრივი აირის ერთადერთი მიმწოდებელი რუსული „გაზპრომია.“ გაზი რესპუბლიკაში ტრანზიტით საქართველოს ტერიტორიის გავლით შედის და საზღვარზე ათასი კუბური მეტრი 165 დოლარი ღირს. ხელშეკრულება 2030 წლამდე მოქმედებს. გაზის ტრანსპორტირების ქსელის ოპერატორი კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი „გაზპრომ-სომხეთია,“ რომელიც, გაზის შენახვისა და განაწილების ჩათვლით, სამუშაოს სრულ ციკლს უზრუნველყოფს.

სომხეთი, ასევე, ირანთან თანამშრომლობს და მისგან საწვავს თბოელექტროსადგურების ფუნქციონირებისთვის იმ პროგრამის ფარგლებში ყიდულობს, რომლის სახელწოდებაცაა „გაზი ელექტროენერგიის სანაცვლოდ.“ ეს პროგრამაც 2030 წლამდე მოქმედებს.



ყოველწლიურად სომხეთში 2,6 მლრდ კუბურ მეტრზე მეტი გაზი შედის, ხოლო იმპორტის 85%-მდე რუსეთის წილია.

აღსანიშნავია, რომ თურქმენულ გაზს ირანის გავლითა და SWOP-სქემით აზერბაიჯანიც ყიდულობს, რაც წელიწადში 1,5-2 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს.

ცნობისთვის: თურქმენეთის ყოფილი პრეზიდენტი და ხალკ მასლაჰათის (სახალხო საბჭოს) ამჟამინდელი თავმჯდომარე, გურბანგული ბერდიმუჰამედოვი მიიჩნევს, რომ თურქმენული ბუნებრივი აირის ევროპის ქვეყნებში ექსპორტი საქართველოზე გამავალი ტრანსკასპიური მარშრუტით უნდა მოხდეს. ასევე, განიხილება ირანის მარშრუტი, თუ ირანული ინფრასტრუქტურით ტრანზიტზე თეირანთან შეთანხმება იქნება მიღწეული. მისი თქმით, გალკინიშის საბადო მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია, რომელიც თურქმენულ ბუნებრივ აირზე საერთაშორისო მოთხოვნის ზრდაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

2023 წლის ივლისის ბოლოს თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება და აზერბაიჯანისგან კასპიის ზღვის ფსკერის დელიმიტაცია მოითხოვა. უწყება აცხადებდა, რომ თურქმენეთი მზად არის, ევროკავშირისთვის გაზის მისაწოდებლად კასპიის ზღვის ფსკერზე ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობა დაიწყოს, რის შემაფერხებელ ფაქტორებსაც ვერ ხედავს. პროექტის მიხედვით, ევროპულ ბაზარს 30 მლრდ კუბური მეტრის თურქმენული გაზი ყოველწლიურად, მინიმუმ, 30 წლის განმავლობაში უნდა მიეწოდოს. ჯერჯერობით დასავლეთისთვის თურქმენული გაზის მიწოდების ერთადერთი გზა ყაზახეთისა და რუსეთის ტერიტორიაზე არსებული სატრანზიტო მილსადენებია.

**გვერდი მოამზადა**

**ჟუჟუნა ყანჩაშვილმა**

# «სამასმეერთე»–ლაშა ბექაურზე წიგნი გამოიცა

**21 მარტს თბილისის „ახალ სპორტის სასახლეში“ სპორტული ჟურნალისტის, მამუკა კვარაცხელიას წიგნის – „სამასმეერთე“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ძიუდოში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ლაშა ბექაურის შესახებ მოგვითხრობს.**

როგორც მამუკა კვარაცხელიამ „შირაქს“ განუცხადა, წიგნს სიმბოლური სათაური - „სამასმეერთე“ დაარქვა, რადგან ლაშა ბექაური ხშირად იმეორებს, რომ ის 300 არაგველების შთამომავალია და მათ გზას აგრძელებს. ავტორის თქმით, წიგნი ავტობიოგრაფიულია, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულდა და 6 თვეში მომზადდა.

წიგნის პრეზენტაციას დაესწრო, შეკრებილ საზოგადოებას მისალმებელი სიტყვით მიმართა და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ლაშა ბექაურს ახალი წარმატებები უსურვა, სეოკის პრეზიდენტმა - ლერი ხაბელოვმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე, ლაშა ბექაურის ოჯახის წევრები, ახლობლები, გულშემატკივრები და მედიის წარმომადგენლები.

**ლაშა ბექაური:** „ჩემთვის ეს ყველაფერი უცხო იყო, რადგან ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა. დიდი მადლობა ავტორს, რომ გამოიჩინა ინიციატივა ჩემზე წიგნი დაეწერა. ბედნიერი ვარ, რომ ახალგაზრდებს ექნება საშუალება ჩემი ცხოვრებიდან აილონ მაგალითი, მოტივაცია მივცე და ამ წიგნში ამოიკითხონ ფორმულა, თუ როგორ უნდა გახდე ჩემპიონი. წიგნში ბევრი საოცარი აღმოჩენა იყო ჩემთვისაც. მამაჩემის ინტერვიუ, ახლობლების ჩანაწერები... ბევრი რამ მათგან მოსმენილი არ მქონდა, ამიტომ წიგნში ამოკითხვა ძალიან ემოციური იყო. მართლაც ძალიან გულწრფელი წიგნია, ყველამ საკუთარი ემოცია ჩადო. წიგნში ასევე გადმოცემულია




პირველ ოლიმპიადაზე გამარჯვების წინა წუთები და ემოციები. სანამ ბრძოლა დაიწყებოდა, მებრძოლებს ოთახები გვქონდა გამოყოფილი და გახურების შემდეგ რაკი ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მიხაროდა, რადგან მხრის პრობლემის გამო მანამდე, ერთი თვის განმავლობაში, შეხვედრა არ მქონდა ჩატარებული. ისე მოხდა, რომ ე.წ. გახურება კარგად ჩავატარე, ექიმმა კახა კახაბრიშვილმა შემიხვია და კარგად გამიყუჩა მხარი, ოთახში შევედი დასასვენებლად. მწვრთნელებს ქევხიშვილსა და გუჯეჯიანს ვუთხარი ცოტას დავიძინებ მეთქი. რომ ჩამეძინა, მართლა იესო ქრისტე მოვიდა ჩემთან და გვერდით დამიჯდა. ხელი დამადო და გამომეღვიძა, მაგრამ იმხელა ძალა მომცა, ისეთი მოტივაცია ვიგრძენი, მთელი დღე კარგად წავიდა. თითქოს დარწმუნებულიც ვიყავი, რომ მოვიგებდი. დიდი რწმენა დამეუფლა, რომ ყველაფერს შევძლებდი. იმ მომენტშიც და ყოველთვის ვგრძნობ უფლის მხარდაჭერას. როცა საბრძოლველად გადიხარ, იქ სრულიად მარტო ხარ, საკუთარ თავთან რჩები და უფალია შენთან“.

**მამუკა კვარაცხელია:** „პრეზენტაცია თბილისის გრანდ სლემის პირველ დღეს დავამთხვიეთ და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა, დიდი ინტერესი გამოიწვია და პირველად ვნახე სიხარულისა და ემოციებისგან დაღლილი ლაშა ბექაური, რომელიც მეტოქეებთანაც არ დაღლილა. ახლა იმდენი გულშემატკივარი დაეხვია, ფოტოების გადაღებას სთხოვდნენ, ველარ აუდიოდა. წიგნის გამოცემა „პალიტრა მედია“-ს ჰოლდინგში შემავალმა სპორტულმა რედაქციამ უზრუნველყო. რამდენიმე ასეულ ეგზემპლარს ძიუდოს ფედერაცია შეიძენს და პატარა ძიუდოისტებს დაურიგებს.

ფეხბურთში დაბადებულ-გაზრდილი და ფეხბურთით მოწამლული კაცი ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ სპორტის სხვა სახეობაზე დავწერდი, მითუმეტეს ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონზე და ყველაფერი ხომ შემთხვევით არ ხდება? 2024 წლის 7 სექტემბერს საქართველო-ჩეხეთის მატჩზე, ზედ „მესხის“ სტადიონის წინ, ფეხბურთის ფედერაციის ოფისთან ლაშა ბექაურსა და მის მამას გელას შევეჩეხე, თურმე ოლიმპიური ოქროს მედლები მიჰქონდათ თამაშის წინ ხალხისთვის საჩვენებლად: ჩვენს პრეზიდენტს, ლევან კობიაშვილს უთხოვია და ჩვენს თანამშრომელს დიმა ნებიერიძეს მამა-შვილი ბექაურები სტადიონისკენ მიჰყავდა... ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი და ლაშას მასთან სურათის გადაღება ვთხოვე... იმ წამსვე ჩამეხუტა ეს კეთილი გოლიათი და სურათი გადავიღეთ, მერე ორივე ოქროს მედალს ვაკოცე და ვკითხე: – ფეხბურთელებს გადამწყვეტი გოლისას ფეხზე ეფერებიან და კოცნიან, შენ სად გაკოცო? – გულზე მაკოცე! – გაშალა მხარბეჭი ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა... მეც ჩავეხუტე და იმ კეთილ და ვაჟკაც გულზე ვაკოცე ლაშა ბექაურს, აგერ ოთხი წელია მთელ საქართველოს რომ ახარებს და აამაყებს... ჰოდა, ლაშა ბექაურზე წიგნის დაწერაც მაშინ გადავწყვიტე.

წიგნი ექვს თვეში დავწერე, სათაურიც თავისთავად მოვიდა, რადგან სამას არაგველში მინიმუმ 52 ბექაური იყო. ძალიან დამეხმარა ლაშას მამა, რადგან ლაშა ფაქტობრივად სულ შეკრებებზე იყო... რომ არა გელა, ნამდვილად ვერ მოვასწრებდით წიგნს თბილისის გრანდ სლემის გახსნის ცერემონიისთვის, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა... როცა ეცალა, ლაშა ჩინებული რესპოდენტი იყო. გამაოცა - ყველა თავის ჭიდაობა დეტალურად ახსოვს და აღწერს რა დროს რას განიცდიდა... მოგეხსენებათ პირველი ოლიმპიადა მხარმოტეხილმა, ცალი ხელით მოიგო. ძალიან დიდი მადლობა ლაშას პირველ მწვრთნელს, კახა წიკლაურს, ასევე ლექსო ღვინიაშვილს, გიორგი ათაბეგაშვილს, დავით ქევხიშვილს, ასევე ოლიმპიური კომიტეტის პრეს-ატაშეს თეო ომანაძეს“.

**ვიკა წიკლაური** ***(ლაშას დედა):*** „ვფიქრობ, კარგად დაიწერა. ლაშას სრული დახასიათება და ყველა ეტაპი არ არის აღწერილი, მაგრამ ახალგაზრდების მოტივაციისთვის შესანიშნავი იქნება. თხრობა, დინამიკა და განვითარება კარგადაა აგებული და ამ მხრივ ძალიან მომეწონა. მინდა ბევრმა ახალგაზრდამ წაიკითხოს და გაითავისოს. იმდენად შთამბეჭდავადაა გადმოცემული, რომ მათზე დადებით გავლენას მოახდენს. ლაშა თავისი დატვირთული რეჟიმის გამო უფრო დიდი დოზით ვერ ჩაერთო ამ საქმეში, ემზადება მომავალი ასპარეზობებისთვის და წიგნს მეტი დრო ვერ დაუთმო. ჩემთვისაც უცნობი იყო, რა მოყვა წიგნის ავტორთან და რაზე გაამახვილა ყურადღება. ასევე

*/დასასრული ბოლო გვერდზე/*

## გამოიცა კახეთის რეგიონის გეოგრაფიული ატლასი

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, რომელსაც გეოგრაფიულ ატლასებზე მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია, მომზადდა კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი „კახეთის რეგიონის გეოგრაფიული ატლასი“ (214 გვ.). მასში წარმოდგენილია: მდებარეობა, ისტორია, ბუნება, ტერიტორიული მოწყობა, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, განათლება და კულტურა, ტურიზმი. ატლასში რუკებთან ერთად არის ტექსტები, დიაგრამები, გრაფიკები და ფოტოსურათები. ატლასს ახლავს ბიბლიოგრაფიის ვრცელი სია.***

ატლასის კონცეფციის ავტორია გეოგრაფიის დოქტორი, გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი გულიკო ლიპარტელიანი. მასალების მომზადებასა და რუკების შედგენაში კი ავტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი იყო ჩართული.

გეოგრაფიის ინსტიტუტში 2018 წელს დამუშავდა რეგიონული კარტოგრაფირების კონცეფცია და მეთოდოლოგია. იგი ითვალისწინებს საქართველოს 12 რეგიონისთვის კომპლექსური ატლასების შედგენას სერიის სახით - „საქართველოს რეგიონული ატლასები.“




მათი შედგენა და გამოსაცემად მომზადება მოხდება ეტაპობრივად. კახეთის რეგიონის გეოგრაფიული ატლასი ამ სერიის პირველი ტო-




მია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში ჯერ-ჯერობით ატლასის მხოლოდ საავტორო ეგზემპლარები დაიბეჭდა.

„დიდი მადლობა პროექტის ხელმძღვანელს, გეოგრაფიის აკადემიურ დოქტორს ქალბატონ გულიკო ლიპარტელიანს, ინსტიტუტის დირექტორს, გეოგრაფიის აკადემიურ დოქტორს ქალბატონ ნანა ბოლაშვილს, მთელს საავტორო ჯგუფს. საოცარი, უნიკალური ატლასია, 214 გვერდიანი. ეს არის საშვილიშვილო საქმე. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ კონსულტანტის რანგში, მონაწილეობა მივიღე აღნიშნული ნაშრომის შექმნაში“ – ამბობს **ვაჟა ჩერქეზიშვილი**, „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების“ უფროსი რეინჯერი.

## ადამიანზე ზრუნვა — ექიმის მთავარი მისია

**თითქმის ნახევარი საუკუნე სამედიცინო სფეროში და ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე გაატარა. ფიქრობს, რომ ადამიანის დახმარება მისი მთავარი მისიაა და ბედნიერია, როცა სიცოცხლესთან ბრძოლაში შედეგებს აღწევს.**

**ვასილ გონაშვილი** ***(რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკის ქირურგი, რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი):*** „ზოგადად, ადამიანის შესაძლებლობები განუსაზღვრელია. ვმუშაობ 1982 წლიდან, 43 წელია ამ საქმეს ვემსახურები. თავდაპირველად ქირურგი ვიყავი, შემდეგ კი ანესთეზიოლოგის პროფესია შევითავსე. ჩემთვის მთავარია, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდება, დავეხმარო.

ჩემი კრედო ყოველთვის იყო და არის, რომ პაციენტის ინტერესები გავითვალისწინო და ყველაფერი გავაკეთო პაციენტის დასახმარებლად. სანამ ცოცხალი ვიქნები, ამ კრედოთი გავაგრძელებ ცხოვრებას.

მთავარია, როდესაც პაციენტს ვჭირდები, უნდა დავეხმარო, გავაკეთო მაქსიმუმი, რომ გადავარჩინო სიცოცხლე. არ აქვს მნიშვნელობა დღე - ღამის რომელ პედიოდში დავჭირდები, სანამ ვარ, ეს ჩემი მისიაა.

40 წელზე მეტია ექიმი ვარ, კოვიდპანდემიის დროს ჩვენმა კლინიკამ ნამდვილად უმძიმესი დღეები გაიარა. პაციენტის დასახმარებლად ახლა კლინიკაში ყველანაირი შესაძლებლობაა. ყველა პირობა გვაქვს, არის მედიკამენტებიც. მთავარია იმედი არ დაკარგო და სწორი გადაწყვეტილებები მიიღო.

ხშირია გეგმიური მომართვა, მაგრამ უფრო ხშირად გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროებით მოგვმართავენ. როცა კრიტიკული პაციენტი შემოდის, უკვე ვიცით რა უნდა გავაკეთო და ეს უნდა იყოს ხარისხიანად. თუ ეს გამომდის და იმედია ხშირად გამომდის, თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ავადმყოფს კრიტიკულ ვითარებაში დავეხმარე, შევასრულე მისია საკუთარი თავის წინაშე, ღვთის წინაშე და პაციენტის წინაშე.

კოვიდის დროს ურთულესი სიტუაცია იყო, კლინიკა გადავსებული იყო მძიმე პაციენტებით. ამასთან აპარატულ სუნთქვაზე იყო მინიმუმ 3-4 პაციენტი და ყველასთვის ყურადღება უნდა მიმექცია, ყველა გადამერჩინა. მეც ასე ვფიქრობდი და ჩემი კოლეგებიც ასე მუშაობდნენ, თავი არ დაგვიზოგავს. ბედნიერები ვიყავით, თუკი ნახევარი საათით მაინც შევძლებდით სახლში წასვლას, ისიც მხოლოდ 3 დღეში ერთხელ. მძიმე გრაფიკი იყო, მაგრამ ვიცოდით, რომ ვჭირდებოდი ჩემს რაიონს, კლინიკას და განყოფილებაში უნდა ვყოფილიყავით და აღარც მიჩნდებოდა სურვილი, კლინიკიდან გარეთ გავსულიყავი“.



# ტაილანდელი ქალები და საქართველო

***ტაილანდის პოლიციის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ საქართველოში, მოტყუებით ჩაყვანილ ტაილანდელ ქალებს კვერცხუჯრედების სხვისთვის გადაცემას აიძულებდნენ და ამ საქმის გამოძიების გასაფართოებლად უკვე ინტერპოლს მიმართა. ეს განცხადება მან 5 თებერვალს გააკეთა.***

პოლიციის უფროსი, პოლ გენ კიტრატ ფანფეტი ამბობს, რომ ახლა პოლიცია სამ ტაილანდელ ქალთან მუშაობს, რომლებიც თვეების წინ, საქართველოში ე.წ. ლეგალური სუროგაციის დაპირებით, ჩინურმა კრიმინალურმა სინდიკატმა ჩამოიყვანა და ორგანიზებულ სქემაში „კვერცხუჯრედების ფერმაში“ ჩართო: „ვმუშაობთ, რათა შევაგროვოთ უფრო მეტი დეტალი სიღრმისეული გამოძიებისთვის“.

ტაილანდური მედია წერს, რომ სამი ქალის დახსნა ტრეფიკინგის სქემიდან ტაილანდის სამეფო პოლიციის საგარეო საქმეთა განყოფილების, ინტერპოლთან კოორდინაციისა და ბავშვებისა და ქალების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციის Pavena Foundation for Children and Women-ის დახმარებით მოხერხდა.

ქალები საქართველოდან ტაილანდში 2025 წლის 30 იანვარს დაბრუნდნენ. თუმცა, როგორც ტაილანდური მედია ორგანიზაცია Pavena Foundation for Children and Women-ზე დაყრდნობით იტყობინება, საქართველოში კიდევ რჩება 100-მდე ქალი, რომლებიც ამ სქემაში რჩება ჩართული და რამდენიმე სახლში, ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ.

### რას ამბობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო?

განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტაილანდელი ქალებისგან კვერცხუჯრედების იძულებით მოპოვების საქმეზე 6 თებერვალს, მას შემდეგ გაავრცელა, რაც ამ საქმით ქართული მედია დაინტერესდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის განცხადებით, ბანგკოკის ინტერპოლიდან მიღებული წერილის საფუძველზე, დაწყებულია გამოძიება ადამიანით ვაჭრობის მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილი).

შსს განცხადებაში წერს, რომ ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, დაინიშნა ექსპერტიზები და სხვადასხვა ადგილას ჩატარდა ჩხრეკა.

„გამოიკითხა 70-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქე, თუმცა არცერთ მათგანს გარდა 3 ტაილანდელი ქალბატონისა, რაიმე სახის პრეტენზია არ დაუფიქსირებია. გამოკითხული 3 ტაილანდელი ქალბატონი განმარტავდა, რომ აღარ სურდათ სუროგატი დედობა და საცხოვრებელ მისამართზე დარჩენა. სამართალდამცველების მიერ იმავე დღეს მოხდა სამივე ქალბატონის გადაყვანა ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარში და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ მათ ქვეყანა დატოვეს“, - წერია განცხადებაში.

შსს-ს თანახმად, პოლიციამ ასევე გამოჰკითხა უცხო ქვეყნის 4 მოქალაქე, რომლებმაც ტაილანდის მოქალაქეები საქართველოში სუროგაციისთვის ჩამოიყვანეს. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს მათი კუთვნილი მობილური ტელეფონები, საიდანაც გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ლაპარაკობს გამოძიების დეტალებზე.

**•გამოიკითხნენ თუ არა კლინიკის წარმომადგენლები? ქალების სხეული გამოყენებული იყო მხოლოდ კვერცხუჯრედების ამოსაღებად თუ მათ აიძულებდნენ ყოფილიყვნენ სუროგატი დედებიც?**

**•მუშაობს თუ არა სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა სააგენტო იმ 70-მდე ტაილანდელ ქალთან, რომლებსაც გამოძიების ფარგლებში, შსს-ს მტკიცებით, პრეტენზიები არ დაუფიქსირებიათ?**

კვერცხუჯრედების მიღებისა და ამოღების პროცედურა ხანგრძლივი პროცესია, საჭიროებს თითქმის ორკვირიან მოსამზადებელ პერიოდსა და არაერთი მედიკამენტის, ჰორმონის მიღებას, რის შემდეგაც ანესთეზიის საშუალებით ტარდება კვერცხუჯრედების ასპირაცია ანუ ამოღება.

### რას ჰყვებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები?

ქალებმა, რომლებიც ტაილანდში დაბრუნდნენ, უკვე მისცეს ინტერვიუები სხვადასხვა ონლაინგამოცემას თუ ტელევიზიას.

ინტერვიუები სრული ანონიმურობის დაცვითაა ჩაწერილი. ისინი ჰყვებიან, რომ საქართველოში ე.წ. ლეგალური სუროგაციის დაპირებით ჩაიყვანეს და მათგან ყოველთვიურად, იძულებით იღებდნენ კვერცხუჯრედებს, რომლებიც უცხოელი წყვილებისთვის ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურების ჩასატარებლად, სავარაუდოდ, სხვა ქვეყანაში გაჰქონდათ.

ტაილანდური მედია მათზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ქალები საქართველოში ჩინური დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ჩამოიყვანეს, რომლებმაც მათ თავი ე.წ. „სუროგაციის ბროკერებად“ გააცნეს და შეჰპირდნენ, რომ პროცედურაში ანაზღაურების სახით 400 000-დან 600 000-მდე ტაილანდურ ბატს გადაუხდიდნენ, რაც დაახლოებით 12 ათასიდან 17 ათასამდე ამერიკული დოლარია.

ქალები იხსენებენ, რომ ისინი საქართველოში ჩამოსვლისთანავე იზოლირებულ საცხოვრებელ სახლში აღმოჩნდნენ და ყოველთვიურად აიძულებდნენ კვერცხუჯრედების ამოღების პროცედურის ჩატარებას.

ხოლო მათ, ვინც ამ პროცედურაზე უარს ამბობდა, ემუქრებოდნენ, ან ეუბნებოდნენ, რომ თავის დასახსნელად 70 ათასი ბატი უნდა გადაეხადათ, რაც დაახლოებით 2000 დოლარია.

Pavena Foundation for Children and Women-ის ხელმძღვანელი, პავენა ჰონგსაკული ამბობს, რომ ტრეფიკინგის საქმის შესახებ მან გასული წლის 27 სექტემბერს, ერთ-ერთი ტაილანდელი ქალისგან შეიტყო, რომელმაც ნათესავების დახმარებით გამოსასყიდი თანხა შეაგროვა და ტაილანდში დაბრუნდა.

ნა (ეს არ არის ქალის ნამდვილი სახელი, მისი ვინაობა უსაფრთხოების მიზნით დაფარულია), დაუკავშირდა, მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში მყოფი ქალების შესახებ და მათ გათავისუფლებაში დახმარება ითხოვა.

ნას მონათხრობის თანახმად, შეთავაზება სუროგატ დედად გახდომის შესახებ ფეისბუკის ერთ-ერთ გვერდზე წაიკითხა, რომელიც ქალებს ე.წ. ლეგალურ სუროგაციას სთავაზობდა. ამ შეთავაზების თანახმად, საქართველოში ჩასვლის ყველა ხარჯს ეს კომპანია აიღებდა საკუთარ თავზე.

საბოლოოდ, პასპორტისა და სხვა დოკუმენტაციის შეგროვებას მხოლოდ ერთი თვე დასჭირდა. ერთი თვის თავზე კი ნა სხვა 10 ქალთან ერთად უ-ტაპაოს საერთაშორისო აეროპორტიდან ჯერ დუბაიში და შემდეგ ერევანში ჩაფრინდა.

ქალების ჯგუფის ხელმძღვანელმა მათ 500-500 დოლარი დაურიგა, რათა საზღვრის კვეთისას, მესაზღვრეებისთვის თავი ტურისტებად წარედგინათ და ნაღდი ფულის სახით, თანხაც ეჩვენებინათ.

ერევანში ქალებმა სამი ღამე გაატარეს. მეოთხე დღეს კი მატარებლით თბილისისკენ წამოვიდნენ. სანამ ტრეფიკინგის სქემის მონაწილეები პასპორტებს ჩამოართმევდნენ, ქალებმა ერთი ღამე სასტუმროში გაათენეს. მომდევნო დღეს ქალები ოთხ სხვადასხვა სახლში გადაანაწილეს.

სახლში, რომელშიც ნა წაიყვანეს, 60-მდე ტაილანდელი ქალი დახვდა. როგორც ის ჰყვება, ქალების უმეტესობას ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, თავს ცუდად გრძნობდნენ და შინ დაბრუნება სურდათ.

მომდევნო დღეს ის სხვა სახლში გადაიყვანეს. მასთან ერთად იქ 10 ტაილანდელი ქალი ცხოვრობდა. ირწმუნება, რომ ამ ოთხ სახლში დაახლოებით 100-მდე ტაილანდელი ქალი მაინც არის დატყვევებული. როგორც ის ჰყვება, იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა, ხშირად მიდიოდნენ ჩინელი კაცები.

მოგვიანებით, ნამ სხვა ქალებისგან შეიტყო, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, მათ არასდროს უნახავთ წყვილები, რომლებსაც მათი, როგორც სუროგატი დედების მომსახურება სჭირდებოდათ და არც არანაირი კონტრაქტისთვის მოუწერიათ ხელი, რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, სუროგატ ქალსა და წყვილს შორის ფორმდება. ხელშეკრულებას ხელს აწერს კლინიკაც, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების პროცედურას ატარებს. ამის ნაცვლად, მათ ყოველთვიურად აიძულებდნენ ჩაეტარებინათ კვერცხუჯრედების ამოღების პროცედურები და ამ მანიპულაციისთვის კლინიკაში მიჰყავდათ. ნამ ტაილანდში დაბრუნება გასული წლის 9 სექტემბერს, მას შემდეგ მოახერხა, რაც ოჯახმა მისი გამოსასყიდი თანხა გადაიხადა.

სანამ საცხოვრებელს დატოვებდა, მას დახმარება სთხოვა სამმა ქალმა, რადგან მათ არც კვერცხუჯრედების ამოღების პროცედურების ჩატარება სურდათ და არც გამოსასყიდის გადახდის შესაძლებლობა ჰქონდათ.

### რას ამბობენ რეპროდუქტოლოგები?

სად და რა პირობებში უტარდებოდათ ქალებს კვერცხუჯრედების ამოღების მანიპულაცია, ამის შესახებ არაფერს წერს ტაილანდური მედია. ინფორმაციას ამის შესახებ არ ავრცელებს არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დღეს საქართველოში 20-მდე კლინიკა ფუნქციონირებს, სადაც დამხმარე რეპროდუქციული საშუალებებით მკურნალობაა შესაძლებელი. სწორედ ამ, ლიცენზირებულ კლინიკებში ტარდება საკვერცხეების სტიმულაციისა და შემდეგ ასპირაციის ანუ ამოღების პროცედურები.

ექიმი რეპროდუქტოლოგი ქეთი ქანთარია ამბობს, რომ ამ პროცედურის, ისევე როგორც სხვა სამედიცინო მანიპულაციის ჩატარება, მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზირებულ კლინიკებში, სპეციალიზებული ექიმების, რეპროდუქტოლოგების მიერ ხდება და ქალის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა წესი და სტანდარტი შესაბამისად იყოს დაცული:

„თუკი ეს წესები არ იქნება დაცული, როგორც სხვა სამედიცინო მანიპულაცია შეიძლება გართულდეს, რა თქმა უნდა, ამ პროცედურასაც შეიძლება მოჰყვეს გართულება. თუკი პროცედურა ყველა საერთაშორისოდ აღიარებული პროტოკოლის მიხედვით, უსაფრთხო გარემოში, ქალის წინასწარ ინფორმირებული თანხმობით ხდება, ეს მანიპულაცია მის ჯანმრთელობას საფრთხეს არ შეუქმნის.

რა თქმა უნდა, ამ მანიპულაციის ჩატარება, ისევე როგორც სხვა სამედიცინო პროცედურის ჩატარება, ბინის პირობებში ვერ მოხდება. ამ პროცედურებს მხოლოდ ლიცენზირებული კლინიკები და ექიმები ატარებენ“, - ამბობს ქეთი ქანთარია.

ის, რომ საქართველოში არაერთი უცხოელი ქალი ჩამოდის სუროგატი დედის სტატუსით, ამას რადიო თავისუფლებასთან ადასტურებს ლიკა ჭყონია, რეპროდუქციული მედიცინისა და ემბრიოლოგიის საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე, ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკის, „რეპროარტის“ დირექტორი.

ლიკა ჭყონია ამბობს, რომ არც მას და არც იმ კლინიკის ხელმძღვანელს, რომლის შესახებაც ვრცელდება ვარაუდები, რომ თითქოს სწორედ მის კლინიკაში ხდებოდა ტაილანდელი ქალებისგან კვერცხუჯრედების იძულებით ამოღება, გამომძიებლები არ დაჰკავშირებიან.

ლიკა ჭყონია, რეპროდუქციული მედიცინისა და ემბრიოლოგიის საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე-„ამ კლინიკაში ნამდვილად დადიან უცხოელი სუროგატი ქალები, მათთან თანამშრომლობენ, თუმცა არცერთი მათგანისგან კვერცხუჯრედების ამოღება არ მომხდარა. სუროგაციის პროცედურა კი, ჩატარებულია, მაგრამ არა კვერცხუჯრედების ამოღება.

უცხოელი ქალები, რომლებიც აქ სუროგატი დედობის სურვილით ჩამოდიან, გადიან სრულ სამედიცინო შემოწმებას. არსებობს ინფორმირებული თანხმობის ფორმები, რომლებსაც ისინი ხელს აწერენ.

ამ ფორმაში პაციენტისთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს განმარტებული, რას აწერს ხელს. სხვა შემთხვევაში, კლინიკა არანაირ მანიპულაციას არ ატარებს. ვფიქრობ, ამ დროს, შესაძლებელია, რომ ქალმა მიანიშნოს ექიმს, რომ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი.

„რეპროარტს“ არ ჰყოლია ტაილანდელი სუროგატები, მაგრამ გვყოლია სუროგატები სხვა ქვეყნიდან და არასდროს მათთან მსგავს შემთხვევას არ გადავწყდომივართ.

ჩვენს კლინიკაში უკვე ვნერგავთ მეთოდოლოგიას, როგორ აღმოვაჩინოთ ტრეფიკინგის მსხვერპლი. გვაქვს სპეციალური ფორმები, რომლებსაც ექიმი ავსებს“.

ლიკა ჭყონიასთვის არ არის უჩვეულო და მიუღებელი ის ფაქტი, რომ ქალები, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოდიან, ერთად, ერთ სახლში ცხოვრობენ:

„ის, რომ ერთ სახლში მოათავსეს ერთი ქვეყნიდან ჩამოყვანილი სუროგატები, არ მიმაჩნია კრიმინალად, რადგან უცხო ქვეყანაში, როდესაც მათ ენა არ იციან, სჭირდებათ ერთმანეთის გვერდში დგომა. არ ვიცი, რომელმა სააგენტომ ჩამოიყვანა ეს ქალები საქართველოში, მაგრამ თუ რაიმე არაკანონიერი ხდებოდა, ამას გამოძიება დაადგენს. თუმცა, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ქალები ამბობენ, რომ ისინი საკუთარი სურვილით არიან აქ და არ არიან იძულებითი სუროგაციისა თუ ტრეფიკინგის მსხვერპლები“, - ამბობს ლიკა ჭყონია.

მიუხედავად 2023 წელს დაანონსებული საკანონმდებლო ცვლილებისა, რომელსაც 2024 წლიდან უნდა აეკრძალა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში ინ ვიტრო განაყოფიერება, მათ შორის, სუროგაციისა და დონაციის სერვისი, ამ წესების გამკაცრების შესახებ კანონპროექტი პარლამენტში მესამე მოსმენიდან მოიხსნა.

მაშინ დარგის სპეციალისტები აკრიტიკებდნენ ხელისუფლების მიერ ინიცირებულ კანონპროექტს და ამბობდნენ, რომ ეს ინიციატივა საფრთხის შემცველი იყო როგორც თავად დარგის - მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის არსებობისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

საქართველოში მოქმედი სუროგაციისა და დონაციის სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციით, მათი მომსახურებით, უმეტესად, უცხოელი წყვილები სარგებლობენ. ეს მონაცემი შესაძლოა 98%-საც აღწევდეს. დღეს საქართველო სუროგაციის მიმართ ე.წ. მეგობრულად განწყობილ ქვეყნებში შედის. საქართველოში სუროგაციის პროგრამით სარგებლობენ წყვილები ევროპიდან, ჩინეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, აშშ-დან. ბოლო დროს სულ უფრო მეტი წყვილი ჩამოდის ავსტრალიიდან და კანადიდან. საქართველო კიდევ უფრო მოთხოვნადი ქვეყანა გახდა სუროგაციისთვის ომის დაწყების შემდეგ უკრაინაში, რომელსაც ბევრი უშვილო წყვილი მიმართავდა.

სუროგაციას საქართველოში 1997 წლიდან აწესრიგებს კანონმდებლობა და ის რამდენიმე ნორმატიული აქტისა და ბრძანების საშუალებით რეგულირდება. მათ შორისაა, მაგალითად:

- კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“,
- კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“,
- კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“,
- ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“,
- კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

რაც შეეხება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ქვეყნიდან გაყვანას, ამ პროცედურის წესებს არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის ერთობლივი ბრძანება.

# თუ ქალს მამაკაცი მოსწონს...

***როგორც ფრანგი ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, ასეთი ურთიერთობის და ახლო ნაცნობობის დაწყებისათვის სასურველია:***

1). – მამაკაცს აგრძნობინოთ, რომ გაინტერესებთ;

2).– ჩახედეთ თვალებში, ან მხოლოდ წამით დაიჭირეთ მისი მზერა! ეს მოქმედებს! თუ მზერა უკან დაგიბრუნათ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც საინტერესო ხართ მისთვის;

3). –მნიშვნელოვანია საუბარში ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. ეს კი ყველაზე ადვილია თანამოსაუბრის, „მზერის დაჭერით“.

4).–ფლირტის წესებში ისეთი მნიშვნელოვანი რამეც არსებობს, როგორიც არის მანძილი ფლირტის მონაწილეებს შორის. პირველი ნაცნობობისას მანძილი 1,2–1,5 მეტრი უნდა იყოს. ფსიქოლოგები ამ მანძილს „ზონის საზღვარს“ უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ დადებითი გამოხმაურების შემთხვევაში თქვენ „პერსონალურ ზონაში“ შესვლაც შეგიძლიათ.

5).–ჟესტები უამრავ რამეზე მეტყველებს! მაგალითად, თუ მამაკაცი ღიმილით მკერდთან ხელებს აჯვარედინებს ან ხელს ნიკაპზე და კისერზე იდებს და თავს აყრდნობს, ის არ ეთანხმება თქვენს ნათქვამს.

6).–არასდროს გააწყვეტინოთ სიტყვა მოსაუბრეს. ნუ ეცდებით, მასზე მეტი ილაპარაკოთ, ან ისმინოთ. გააწონასწორეთ საუბარი.

7).–საუბრისათვის ძალიან მნიშვნელოვანია „ორმხრივი გახსნა“.

მაგალითად, თქვენ რამეს უამბობთ საკუთარ თავზე, თუმცა ამავდროულად წაახალისეთ, რომ მანაც ისუბროს საკუთარ თავზე, ამასთან გულწრფელი მოწონება გამოთქვით მისი მიღწევების მიმართ.

8).–მაგრამ დაიმახსოვრეთ: ვერანაირი ფლირტი წარმატებულად ვერ ჩაითვლება, თუ მას დახვეწილი იუმორი არ ურევია. იხუმრეთ და გაიღიმეთ ხოლმე – ეს ხომ ხალისიანი ურთიერთობის წინაპირობაა!

*ბესიკ გიგოლაშვილი* **ფსიქოლოგი**

# დაელოცოთ მარჯვენა

***არ გამკვირვებია, როცა ხელოვნების მოყვარულმა, დიდმა პატრიოტმა ახალგაზრდა კაცმა გოგა ჯავაშვილმა მხატვრების ნახატების გამოფენაზე მიმიწვია დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. დიდი მადლობა მას ამ სიამოვნებისთვის. ვიფიქრე, უთუოდ კვლავ ასრულდა დიდი მაესტროს ლადო გუდიაშვილის წინათგრძნობა და ნავედი. გამოფენა სარვამარტოა.***

მახსოვს 1980–იან წლებში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ლადო გუდიაშვილის ნახატების გამოფენა. ჩამობრძანებისთანავე ჯერ მუზეუმს გარს შემოუარა, შენობის ოთხივე კუთხეს ეამბორა. კოცნიდა ისე, როგორც მორწმუნენი კოცნიან წმინდა ეკლესიების კედლებს. შემდეგ შეტრიალდა კავკასიონისაკენ და აღმოხდა „ღმერთო ეს რა სილამაზეაო“.

ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ იგი აღაფრთოვანა ყინულით შეჯავშნულმა, თეთრად მოქათქათე კავკასიონმა, რომელიც გვთავაზობს უთვალავ, თოვლით დაფარულ დიდსა და პატარა მთას. ხშირი ტყეებითა და ალპური ბალახებით, ყვავილთა ნოხით აჭრელებულ მთებს. ქვემოთ კი ალაზნის ველის სიმშვენიერეს ვერ მოწყვიტა თვალი. მის ტბებს, ნაკადულებსა და ზვრებს. ბოლოს მზერა ნიკალას მამის – ასლანის ჩრდილზე გადმოიტანა, მის კარმიდამოზე, რომელიც ყაყაჩოებით იყო აბიბინებული და თქვა: „აქ მხატვარი რომ არ დაბადებულიყო, არ შეიძლებოდა. კვლავ დაიბადებიან მხატვრები და ნიკალაც კვლავ განმეორდებაო“. ასე დამოძღვრა ამ ბუმბერაზმა მირზაანი, სადაც მართლა განმეორდა მხატვარი და დიდი ნიკო ფიროსმანის შემოქმედების თაყვანისმცემელი ბელა ლობჟანიძე.

მართლაც, ამ ლამაზ გაზაფხულზე, იების და ნარცისების აფეთქებასთან ერთად აფეთქდა ნიჭი და დაიპყრო დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ლამაზად გაკეთებული საგამოფენო სივრცე. იყო ფერთა ზეიმი, სურნელებას ფრინველთა გალობა ერწყმოდა. იგრძნობოდა სიცოცხლის წყურვილი. იფიქრებდით: ეს ახალგაზრდა, პატარა მხატვრები გაზაფხულის, ამ ქვეყნიური სიამტკბილობისა და სიყვარულისთვის მოვლენილანო, ყოველი მათი ნახატი სითბოს, სინაზეს და სიყვარულს ფერების ენით გადმოგცემს.

ნახატს ნახატი ცვლიდა. ავტორს ავტორი. ანანო კვიწინაშვილს – ზურა პაპაშვილი, გიორგი ხაჩიაშვილს კი ნიკოლოზ მჭედლიშვილი. დიდება და ხალხის სიყვარული არ მოგკლებოდეთ, ჩემო კარგებო.

„ხელოვნებაა თავად უკვდავება! მხოლოდ ხელოვანს არ ეწევა სიკვდილი.“ – აი, თქვენ, ჩემო კარგებო, ლაღებო და საყვარელო ახალი თაობის მხატვრებო, უკვე დაგმოძღვრათ ნიკალამ უკვდავებაში, რადგან ის არის იგი ხე, ათას წელში ერთხელ რომ ჰყვავის და თქვენ მისი მომავალი თაობა ამ ხის ლამაზი ყვავილები ხართ. გისურვებთ, დაგბედებოდეთ დიდი ნიკო ფიროსმანის შემოქმედების ტრიუმფი მთელს მსოფლიოში. დიდი ზარ-ზეიმით შედით ლუვრის მუზეუმში.

წარმატებები გქონდეთ!

**დალი ფიროსმანაშვილი**
**თქვენი შემოქმედების დამთვალიერებელი, ხელოვნებათმცოდნე**

# „განძთა ქვაბის“ მესაიდუმლე

**გაზეთ „შირაქის“ მკითხველს გვინდა გავაცნოთ რამდენიმე დეტალი სახელოვანი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილის საამაყო მამის, დიმიტრი გონაშვილის, როგორც პედაგოგისა და ფოლკლორისტ-მკვლევრის მოღვაწეობიდან. ბევრმა არ იცის, რომ მათი ფესვები დედოფლისწყაროდანაა.**

**დიმიტრი გონაშვილი** დაიბადა 1899 წლის 16 აპრილს სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 19 წლის ყმაწვილის ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა. თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი და ღარიბი გლეხის შვილს მიეცა შესაძლებლობა შესულიყო ამ სასწავლებელში სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 40 წელიწადს იმოღვაწა პედაგოგიურ სარბიელზე – სოფლის სკოლებში ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა, (ქვემო მაჩხაანსა და ქიზიყის სხვა სოფლებში), სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმსა თუ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მას ძალიან უყვარდა შექსპირი. შვილებსაც მისი ნაწარმოების გმირების სახელები დაარქვა: ბიჭს ჰამლეტი, გოგონას კი – ჯულიეტა. თუმცა ვაჟს სახელი არ მოსწონდა და მის გადაკეთებაზეც ფიქრობდა, მაგრამ იმდენად სწრაფად გახდა პოპულარული, ახალი სახელით ველარ წარსდგებოდა.

1924 წლიდან გარდაცვალებამდე (1976 წლის მარტში გარდაიცვალა) აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან, კრებდა ფოლკლორულ მასალებს, იკვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს. მისი შეკრებილი ქართული ხალხური ზღაპრები კი გამოქვეყნებულია ორ წიგნად: „მოხერხებული შეგირდის“ და „განძთა ქვაბის“ სახელწოდებით.

1974 წელს თბილისში დაიბეჭდა ექვსთაბახიანი წიგნი „განძთა ქვაბი“, რომლის ყდაზე გამოსახულია მთები მწვანე ფერდობებით. მთების ძირში ჯოხდაბჯენილი კაცი მიდის და სწორედ იგია განძთა ქვაბის მესაიდუმლე. ეს თვით ბატონი დიმიტრი გონაშვილია, რომელმაც შეკრიბა მდიდარი ფოლკლორული მასალები და შთამომავლობას მართლაც სახილე ტაბაკივით გაუწოდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოუწია პედაგოგიური მუშაობა ბატონ დიმიტრის და ყველგან კრებდა ფოლკლორულ მასალებს: ჯავახეთში, სამაჩაბლოში, კახეთსა და ქიზიყში.



დიდი ინტერესით იკითხება მისი ჩაწერილი ზღაპრები: „გამდიდრებული კაცის თავგადასავალი“, „ეშმაკური ოინები“, „მოხერხებული პატარძალი“, „ოქროს ქათამი“, „ძუ ძაღლის შვილი“, „ქრისტესია“, „მენახირე“, „ოქროქალა“, „მოხერხებული თევდორე“, „ობოლი გოგონა“, „გაბედულა“ და სხვები.

1973 წლის 31 მარტს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ (№75) გამოქვეყნდა დიმიტრი გონაშვილის წერილი **„დილიჩის ნაპოვნი“, რომელშიც საუბარია შირაქის ველის დასასრულ განივში, სოფელ ქვემო ქედის სამხრეთით, დილიჩად წოდებულ მინდორში, ტრაქტორით ხვნის დროს აღმოჩენილი ქვის ქალის ქანდაკების შესახებ, სინატიფით გამოკვეთილ ქალს, გულ–მკერდს ზემოთ თავი ადრევე ჰქონდა მოტეხილი.** დიმიტრი გონაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს იყო ის მზის ღვთაება, რომელზედაც სტრაბონი შენიშნავდა და ამ არქეოლოგიურ აღმოჩენამდე ერთი წლით ადრე ბატონ დიმიტრის ნამოწაფარმა, სახელოვანმა მკლევარმა ივანე ლოლაშვილმა ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა ნაშრომი ქართული წარმართული საკულტო ტაძრები კამბეჩოვანში“, სადაც აღძრა საკითხი კამბეჩოვანში მზის კულტის თაობაზე.

დიმიტრი გონაშვილი წერს: „ადგილი პირადად დავათვალიერე და ქვებით ნიშანიც დავდე, ხოლო ძეგლი დღესაც ჩემთან ინახებაო...“ იქვე მკვლევარი მიუთითებს: „ჩვენს მიერ ნაპოვნია ქვის ქანდაკება ქართული წარმართული პანთეონის საკითხებზე. ერთ-ერთი მათ შორის იყო ის სტატია, სადაც მან ქიზიყური დიალექტური ლექსიკის საფუძველზე ახსნა სიტყვა „ბუმბულო“.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ხელნაწერსა თუ გამოცემაში შეტანილია ერთი ასეთი სტრიქონი: „ვით იადონი არ მოკვდეს ბუმბულოს თესლთა კვნეტითაო“. ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია ქართულ მეტყველებაში და მას ეძახიან ბალახს. საბედნიეროდ, ეს სიტყვა შეტანილია სულხან-საბას ლექსიკონშიც. გავიდა ხანი და ხალხში ცოცხალი ეს სიტყვა ლექსიკონებში ველარ მოხვდა.

სამაგიეროდ, „ბუმბულოს“ სახელწოდება შერჩა ძველი ანაგის აღმოსავლეთით მდებარე ბორცვს, რომელსაც ხალხი უწოდებს „ბუმბულოს თეფას“.

ასეთივე სახელი შემორჩა დედოფლისწყაროს სოფელ გამარჯვების დასავლეთით, 8-9 კილომეტრის დაშორებით მდებარე სახნავ-სათეს მინდორსაც. დ. გონაშვილის ცნობითვე ეს სახელი რქმევია ივრის ხეობის ერთ ადგილსაც, რომელიც წარმოადგენს ზემო მაჩხაანის სასაძოვრო ადგილს.

დიმიტრი გონაშვილის ცნობით: „ბუმბულო“, ანუ თეთრი ნარი საკმაოდ გავრცელებულია ქიზიყში. გვხვდება როგორც ყამირ, ისე სახნავ ადგილებში. მცენარე აღმოცენებას იწყებს ადრე გაზაფხულზე, ზრდის პროცესში მთავარ ღეროზე სოსანი ყვავილი თავისი ფერით, სილბოთი და სიმსუბუქით ნამდვილად ფრინველის ბუმბულის მსგავსია, სწორედ ამიტომ შეურქმევიათ სახელადაც ბუმბულო. მცენარეს გავრცელებისათვის სჭირდება ბუმბულის ბეწვისებრი ღეროები, რომლებზეც მოგრძო პრიალა და წვრილი თესლებია მიმაგრებული; საკმარისია ოდნავ ნიავმა დაუბეროს, რომ ბუმბულოს ღეროები დიდ მინდორზე მიმოფანტოს“.

„ბუმბულოს“ – განაგრძნობს მკვლევარი, თავისი დაუძინებელი მტერიც ჰყავს ჭრელი, გულბარა ჩიტუნების სახით. ისინი წიწკნიან, პტკვნიან მცენარის „ბუმბულს“, მწიფე თესლს კი ჩირჩნიან“.

სოფელ ანაგაში, გონაშვილების ეზოში, გაშლილ სუფრაზე ბატონმა დიმიტრიმ ასეთი სადღეგრძელო იცოდა: „ადამიანის ბედიც ბუმბულოს ნარ-ეკლიან სიცოცხლესა ჰგავსო. გულბარა ჩიტუნები კი ჩვენი შვილები და შვილიშვილები არიან. ასე წიწკნიან ისინი ჩვენს მწიფე სიცოცხლეს და მანამ ეყოფათ შენი ბუმბულო, სანამ ამ ქვეყანაზე ხარ და როცა გასთავდები, ახლა დარჩენილი შენი ნაღვაწი განაგრძობს სიცოცხლეს ისე, როგორც შენს საფლავზე ამოსული ბუმბულოს ნარ-ეკალი. ადამიანის სააქაო და საიქიო სიცოცხლე ბუმბულოს ჰგავს და იმ დალოცვილ რუსთაველს რომ უთქვამს, სწორედ ასეა: „ვით იადონი არ მოკვდეს, ბუმბულოს თესლთა კვნეტითაო“.

გონაშვილების კერიაზე ქართული სიტყვისა და სიმღერის „განძთა ქვაბი“ უწყვეტელ-უკლებელი იყო, არის და იქნება.

✍ **ნინო პოპიაშვილი**
***დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი.***

# ერთი კადრი წარსულიდან

**1960-იანი წლები, წითელწყაროს მთავარი მოედანი. ფოტო დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.**



# გზავნილები მომავალში

**ეროვნულმა არქივმა გახსნა სკივრი, რომელიც 25 წლის წინ დაილუქა. მოქალაქეთა მიერ ახლობლებისთვის 2000 წელს გაგზავნილი ძველი წერილები ადრესატებს ელიან. ათეულობით წერილია დედოფლისწყაროდანაც:**

- ბუთხუზი ნათელა დიმიტრის ას. (შვილიშვილებს! ანას, ნატოს, ოლიკოს შვილებს). დედოფლისწყარო, არხილოსკალო
- გონაშვილი ანრი, ანა. დედოფლისწყარო, არბოშიკი
- გონაშვილი შორენა, ლექსო. დედოფლისწყარო, არბოშიკი
- დავითაშვილი ხვიჩა გურამის ძე. დედოფლისწყარო
- ინასარიძე თამაზ პაატას ძე. დედოფლისწყარო
- მარტიაშვილი მირიან ზაზას ძე. ქვემო ქედი
- მთვარელაშვილი ირაკლი, ნინო. დედოფლისწყარო, ქვ. ქედი
- პოპიაშვილი გოჩა გივის ძე (შვილიშვილი სახელით გოჩა ან ნებისმიერი სხვა). დედოფლისწყარო
- სიფრაშვილი გიორგი, ნინო, მაია. დედოფლისწყარო
- ფიროსმანაშვილი გიორგი ბონდოს ძე. დედოფლისწყარო
- ქუფარაშვილი ნინო. დედოფლისწყარო
- ჩონგურაშვილი ზურაბი, დავითი, ლევანი. დედოფლისწყარო, წითელი წყარო
- ციხიშვილი თამარ ირაკლის ასული (ჩემს ოჯახს). დედოფლისწყარო. ქვემო ქედი
- წიკლაური აჩიკო ზაზას ძე (შვილიშვილს). დედოფლისწყარო. არხილოსკალო
- წიკლაური ნიკა ზურაბის ძე. დედოფლისწყარო
- წყარუაშვილი დიმიტრი, უჩა. დედოფლისწყარო, ჯაფარიძე
- ხუცურაული მურთაზ ზაურის ძე (ჩემს უფროს შვილს). დედოფლისწყარო. ქვემო ქედი

***ადრესატებმა თქვენი წერილების გასატანად მიაკითხეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციას. თბილისის მერიის წინ, თ. იოსებიძის ქუჩა №49 („ბიბლუსის“ მაღაზიასთან მიმანიშნებელი ბანერია). ყოველდღე, 11:00-დან 16:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. იქონიეთ პირადობის მოწმობა.***

მეუღლე: მზია ქენქაძე, შვილები: დედა მარიამი, ილია კობაიძე, რძალი ლიკა ბრეგაძე, შვილიშვილები: საბა, ანდრია, მარიამი იუწყებიან

**თენგიზ კობაიძის**
გარდაცვალებას.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მზია ქენქაძეს მეუღლის, ილია კობაიძეს, ლიკა ბრეგაძეს და დედა მარიამს მამის

**თენგიზ კობაიძის**
გარდაცვალების გამო.

წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის 1964 წლის კურსდამთავრებულები: ნანა ჭიჭინაძე, ეთერი ჯანიკაშვილი, ციცინო ბაცაცაშვილი, ვიოლა რობიტაშვილი, ლალი გოგილაშვილი, ლიანა ბროძელი და აკაკი სამუკაშვილი ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თანაკლასელის, **თამრიკო მეხრიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ბიძაშვილებს და ახლობლებს.

# «სამასმეერთე»— ლაშა ბექაურზე წიგნი გამოიცა

/მეხუთე გვერდიდან/

თუმცა, უნდა ვაღიარო, ეკოს მონათხრობიც ძალიან საინტერესოა, ძმის შესახებ სათქმელს საოცრად გადმოსცემს. ჩემთვის ემოციური იყო, ასევე, მამამისის ნაამბობიც, გულწრფელად გითხრათ, ბევრი ვიტირე ამაზე. ბევრი რამ ჩემთვისაც უცნობი იყო და დიდი ინტერესით წავიკითხე. მადლობა ავტორს ამ წიგნის შექმნისთვის“.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

* * *

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს, რამდენიმე ქვეთავს წიგნიდან „სამასმეერთე“:

## წინაპრები

### დიდი პაპა და ბებო

...ლაშა ბექაურის პაპის მამა, ალექსი ბექაური, 1912 წელს დაიბადა და 1941 წელს ომში გაიწვიეს. შინ პატარა ბავშვიანი ცოლი პელაგია დატოვა... ქერჩთან ალექსი მძიმედ დაუჭრიათ და მისდა ბედად, ქართველი ექიმი შეხვედრია, რომელსაც სასწაულად გადაურჩენია და უთქვამს-ქართველი ხარ, მინდა გადარჩე და ჩვენს სამშობლოს გამოადგე, ისეთი დიაგნოზი ჩაგიწერე, ფრონტზე აღარ გაგიშვებენო... ალექსი ბექაური გადარეულა: „რას ამბობ, წინა ხაზზე ბიჭები მელოდებიანო“ და საავადმყოფოდან პირდაპირ ფრონტზე გაქცეულა... კიდევ ერთხელ დაუჭრიათ, ისე მძიმედ, რომ გვამებით დატვირთულ დიდ მანქანაზე დაუდიათ და დასამარხად წაუყვანიათ... როდესაც მანქანის დაცლა დაუწყიათ გარდაცვლილი ჯარისკაცებით, ალექსის ამოუხროტინია და ექიმების შეძახილი გაუგონია:

– Бекаури жив!!!..

...ისევ გამოჯანმრთელებულა და ისევ ფრონტზე წასულა... ბერლინამდე უბრძოლია და შინ 1945 წლის შემოდგომაზე დაბრუნებულა. ისევ თავის სოფელს დაბრუნებია და ღრმად მოხუცებულობამდე იცოცხლა - 90 წელს მიტანებული ალექსი შვილიშვილებისთვის 5 კილომეტრით მოშორებული წყაროდან ყოველდღე ზურგზე გადაკიდებული აბგით 10 ლიტრამდე წყალს ეზიდებოდა... ღვაწლმოსილი პაპა შვილიშვილის შვილს, მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს ლაშა ბექაურსაც კი მოესწრო - 2004 წელს 92 წლისა გარდაცვლილა...



### არხილოსკალო

...1616 წელს სატანა შაჰაბასმა 100 000 ჰერი და კახელი გაჟლიტა და ამდენივე ირანის მიყრუებულ ფერეიდნის გზას გაუყენა, თოთო ბავშვები კალოზე დააყრევინა და ცხენებით გადაჯეგა... ამის მერე ეწოდა ამ გავერანებულ ადგილს: „არ იხილო კალო“ და იმის მერე ორასი წელი აქ არავის უცხოვრია. თუში მეცხვარეები ამ ადგილს და შირაქის ველებს ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ... 1889 წელს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე მესამის მთავრობამ გადაწყვიტა შირაქში გადმოესახლებინა რუსები. ილია ჭავჭავაძემ ეს პირველმა შეიტყო და ვაჟა ფშაველას სთხოვა, ფშავ-ხევსურებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ ქართველებს ეს ძირძველი მიწები არ დაგვეკარგა, მთიდან შირაქში ისევ ქართველები ჩამოსახლებულიყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ. ვაჟა-ფშაველა ამ გაბედული გადაწყვეტილების ინიციატორი და ორგანიზატორი გახდა და მისი ძალისხმევით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე სამუდამოდ დასახლდა შირაქში. მტრებმა უკან არ დაიხიეს, იყო უამრავი შეხლა-შემოხლა, სროლები, სისხლიც ბევრჯერ დაიღვარა... სასამართლოც კი გაიმართა ამის თაობაზე და ვაჟამ, სიტყვით რომ ვერ გახდა, თავისი მოუღლელი მარჯვენა შემოჰკრა ყბაში მოწინააღმდეგეთა ადვოკატს, სანდრო ცისკარიშვილს და კარგადაც შეაგინა... ამ ინცინდენტმა ვაჟას და საბოლოო ჯამში, საქართველოს სასარგებლოდ გადახარა საქმე, თუმცა საბრძოლი კიდევ იყო.

ვაჟა ხშირად ჩადიოდა შირაქში, სწერდა პრესაში, ლომივით იბრძოდა... 1914 წელს ამის გამო ვაჟას ცილი დასწამეს გაზეთ „ხმა კახეთისაში“ – ქედელებისგან 1 000 მანეთი ქრთამი აიღოო... სინამდვილეში, ქედელებმა 2 400 მანეთი შეუგროვეს ვაჟას, მან კი მხოლოდ 800 მანეთი გამოართვა, რაც მის შირაქში რამდენჯერმე ტრანსპორტირებას დასჭირდა. ხან ცხენით, ხანაც ფეხით (უკვე ავადმყოფი ვაჟა ჩარგლიდან წინ და უკან 200 კილომეტრზე მეტს გადიოდა ფეხით!)... საპასუხოდ ისეთი წერილი გაუგზავნა რედაქციას, პასუხის გაცემა ვერავინ გაბედა... დაიძრნენ ფშავლები, ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელნი, მოხევეები შირაქში დასასახლებლად... ასე შეიქმნა და აღორძინდა სოფლები: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო... სამასი არაგველების ჩამომავალი ბექაურები და წიკლაურებიც სწორედ მაშინ გადმოსახლდნენ არხილოსკალოში... სოფელი საუკეთესო ადგილას მდებარეობს და კომუნისტების დროს სერიოზული კურორტის ფუნქციებსაც ასრულებდა. არხილოსკალოშია აღმოჩენილი რამდენიმე ათასწლოვანი სამაროვანი და არქეოლოგიური თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანი ადგილია... შირაქელები ვაჟას ძალზედ ეთაყვანებიან და ყოველ წელს მის საპატივცემულოდ აქ დიდი დღესასწაული – „ვაჟაობა“ იმართება და მისი ლამაზი ძეგლიც დგას...

1984 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და კომუნისტური მთავრობის გადაწყვეტილებით სტუდენტები არხილოსკალოს მევენახეებს დავეხმარეთ ყურძნის აღებაში, სწორედ მაშინ გავიგე, რას ნიშნავდა ამ ისტორიული სოფლის სახელი... არხილოსკალოში ჩვენი პატრიარქის, ილია მეორის სტუმრობას კი ტაძრის აშენება მოჰყვა – უწმინდესსა და უნეტარესს უჩვენებია ეს ადგილი და უთქვამს - აქ ააშენეთ ტაძარიო... მშენებლობას სათავეში ჩასდგომია იქაური ბიზნესმენი ნიკა ბენიაიძე, რომელსაც მთელი სოფელი ამოსდგომია მხარში და იმ ადგილას მიუყვანიათ მძიმე ტექნიკა, დაუწყიათ საძირკველის გაჭრა და... ექსკავატორის ჩამჩამ უამრავი პატარა ბავშვის ძვლები ამოიტანა... მთელი სოფელი გახევებულა... შეუკრებიათ 400 წლის წინანდელი პაწია მოწამეთა ძვლები და სოფლის ტაძარში დაუბრძანებიათ... 2021 წელს კი 36 წლის მერე, უკვე ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, ვეწვიე არხილოსკალოს და იმ ჩვენი იტორიული მტრების ჯინაზე არხილოსკალოელი ბაიები „სახალისო ფეხბურთიით“ გავახარე! დავდიოდი ამ ლამაზ სოფელში და ვფიქრობდი, შაჰაბასები, შაჰთამაზები და თემურლენგები ჩაძაღლდნენ, ჩვენ კი: ...ისევ ქართველები გვქვია!... ისევ ქართული ანბანით ვწერთ!... ისევ ქართულად ვლაპარაკობთ!... ისევ ქრისტიანები ვართ!... მოკლედ, იხარე ერო - მოკვდი მტერო!!!... ჰოდა, ჩვენი ლაშა ბექაური, ტოკიოში და პარიზში ტოლმასავით რომ დააწყო მეტოქეები, სწორედ აქ, კახელი თოთო ბავშვების სისხლით მორწყულ მიწაზე, არხილოსკალოში დაიბადა და გაიზარდა!..





# არბოშიკში ჯვარი აღმართეს

სოფელ არბოშიკში კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარში მშენებარე სამრეკლოზე ჯვარი აღმართეს. მანამდე, 23 მარტს ჯვრის კურთხევა ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ლევან იაკობიშვილმა შეასრულა. ამ დრომდე ტაძარს სამრეკლო არ ჰქონდა, ადგილობრივების შემოწირულობით მერამდენე წელია სამრეკლო და სატრაპეზო აშენდა. არბოშიკში დამზადდა ჯვარი, რომელიც სამრეკლოს ამშვენებს.

როგორც დეკანოზმა ლევანმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სამშენებლო სამუშაოები მთლიანად შემოწირულობებით მიმდინარეობს და კვლავაც გრძელდება.

„მშენებლობა ჯერ არ დაგვისრულებია, მოსაპირკეთებელია, შემოსაღობია. ამჟამად სამუშაოები არ მიმდინარეობს, მაგრამ როგორც კი ფინანსური საშუალება გამოიძებნება, აუცილებლად გაგრძელდება“-ამბობს დეკანოზი ლევანი.

**შემოწირულობების მსურველებს შეგიძლიათ თანადგომა გამოხატოთ სამშენებლო სამუშაოების დროულად დასასრულებლად.**

☎ 593 42 06 26



## იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელმეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი შეთანხმებით ტელ: 595 32 47 61

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 31.03 | | სამშაბათი 01.04 | | ოთხშაბათი 02.04 | | ხუთშაბათი 03.04 | | პარასკევი 04.04 | | შაბათი 05.04 | | კვირა 06.04 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 21 ° | 8 ° | 22 ° | 9 ° | 20 ° | 10 ° | 22 ° | 9° | 21 ° | 7 ° | 19° | 7 ° | 18 ° | 7 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „ლაბ კოლორი“-ს სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი

C M Y K